2-4404/20
16-03-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების მომართვის საფუძველზე გთხოვთ, კანონის პროექტის განხილვისათვის დადგენილი ვადის 30 დღით გაგრძელებას საქართველოს პარლამენტის წევრების: სულხან მახათაძისა და გოგა გულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებულ საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/436/9; 19.02.2020).

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნინო წილოსანი

2-4386/20
13-03-2020

საქართველოს პარლამენტის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2020 წლის 24 თებერვლის №330/3 გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს დაევალა განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრების სულხან მახათაძისა და გოგა გულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/436; 19.02.2020) და განხილვის ვადად განესაზღვრა 2020 წლის 16 მარტი.

ვინაიდან ბიუროს მიერ განსაზღვრულ კანონპროექტის განხილვის ვადაში ვერ ხერხდება საკითხის სრულყოფილად დამუშავება, მოგმართავთ თხოვნით, რომ უზრუნველყოთ კანონპროექტის განხილვის ვადის 3 კვირით გაგრძელება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ზაზა გაბუნია

2-4359/20
13-03-2020

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტის წევრების, სულხან მახათაძისა და გოგა გულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/436/9; 19.02.2020).

საკანონმდებლო ინიციატივაზე წამყვანი კომიტეტად განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი (განხილვის ვადა - 30.03.2020), ხოლო სავალდებულო კომიტეტებად - იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი (განხილვის ვადა - 16.03.2020).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და განსახილველი საკითხის სრულყოფილად მომზადების მიზნით, უზრუნველყოთ სავალდებულო კომიტეტებისთვის განსაზღვრული განხილვის ვადის, 30 დღით გაგრძელება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი